საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi Municipality

N 01/8493
05/04/2019

8493-01-2-201904051531

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ნიკოლოზ ლატარიას

ბატონო ნიკოლოზ,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულმა გამოჩენილ პირთა პატივგების კომისიამ განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება ცნობილი ქველმოქმედისა და საქართველოში ერთ-ერთი პირველი მეწარმის, რევაზ დვალიშვილის მიზნით ქ. ქუთაისში ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1)/ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1-2)-ში მდებარე გზისათვის მისი სახელის მინიჭების შესახებ.

ვინაიდან, რევაზ დვალიშვილის გარდაცვალებიდან გასული არ არის 20 წელი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის N74 განკარგულებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვება.

,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N380 განკარგულების მე-3 მუხლის შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ ,,ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1)/ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1-2)-ში მდებარე გზისათვის რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე მითითებული განკარგულების პროექტის გატანა და დამტკიცება.

პატივისცემით,

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

3 Rustaveli ave. Kutaisi. 4600, Georgia

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ № 3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1)/ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1-2)-ში მდებარე გზისათვის რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეორაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრებო კომისიის თანხმობის საფუძველზე:

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1)/ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1-2)-ში მდებარე გზას მიენიჭოს რევაზ დვალიშვილის სახელი.

მუხლი 2. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას, წინამდებარე განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ზემოაღნიშნული შესახვევის სახელდებასთან დაკავშირებით, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

,,ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1)/ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1-2)-ში მდებარე გზისათვის რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. განკარგულების პროექტის მიღების მოტივაცია და დასაბუთება

რევაზ დვალიშვილს განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის, როგორც ცნობილ მეწარმესა და ქველმოქმედს. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულმა გამოჩენილ პირთა პატივგების კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1)/ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1-2)-ში მდებარე გზისათვის, რევაზ დვალიშვილის პატივგების მიზნით მისი სახელის მინიჭების შესახებ.

ვინაიდან, რევაზ დვალიშვილის გარდაცვალებიდან გასული არ არის 20 წელი, ხსენებულ საკითთან დაკავშირებით ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 25 აპრილს მიიღო N74 განკარგულება ,,ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1)/ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1-2)-ში მდებარე გზისათვის რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ".

განკარგულების პროექტის მიღება განპიროვნებულია ცნობილი ქველმოქმედისა და მეწარმის პატივგების მიზნით. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მოგვარდება ხსენებულ მისამართთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემები.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1)/ნიკეას ქუჩა N8 (ნაკვეთი N1-2)-ში მდებარე გზისათვის ცნობილი ქველმოქმედისა და მეწარმის რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ სამართლებრივი აქტის მიღება გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

3. პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღებით, ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები გაიზრდება დაახლოებით 500 ლარის ოდენობით.

გაკარგულების პროექტის ავტორი და პროექტის წარმომდგენი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
გიორგი ჭიღვარია

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ორთოფოტო


309530
309560
309590
309620
309650
309680
309710
309740
309770
05
2
8
1
8
F
F
F

PT_ID	NORTHING	EASTING
1	309704,7104	4679739,452
2	309594,257	4679763,457
3	309568,8178	4679679,912
4	309576,6309	4679678,238
5	309596,1312	4679748,054
6	309603,4156	4679753,141
7	309682,4601	4679736,253
8	309703,2854	4679733,231



საქართველო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება

№ 74

ქალაქი ქუთაისი 25 აპრილი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №8 (ნაკვეთი №1)/ნიკეას ქუჩა №8 (ნაკვეთი №1-2)-ში მდებარე გზისათვის რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №8 (ნაკვეთი №1)/ნიკეას ქუჩა №8 (ნაკვეთი №1-2)-ში მდებარე გზისათვის ცნობილი ქველმოქმედისა და საქართველოში ერთ-ერთი პირველი მეწარმის, რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ჭიღვარიას 2018 წლის 18 აპრილის №01/9615 წერილობითი მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ რევაზ დვალიშვილს განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის ქალაქ ქუთაისის საზოგადოების წინაშე, როგორც ქველმოქმედსა და ცნობილ ქართველ მეწარმეს, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქალაქ ქუთაისში.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №8 (ნაკვეთი №1)/ნიკეას ქუჩა №8 (ნაკვეთი №1-2)-ში მდებარე გზისათვის რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვება.

მუხლი 3. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №8 (ნაკვეთი №1)/ნიკეას ქუჩა №8 (ნაკვეთი №1-2)-ში მდებარე გზისათვის რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით განსაზღვრული წესით, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და წარმოდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /მისამართი: ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლომარია